

ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის
N35 ბინის დარჩენილ ¼ ნაწილზე, მოქალაქე ნინო გაბაგაძისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ნინო გაბაგაძის წარმომადგენლის ირაკლი მივზივაძის განცხადება /2012 წლის 31.01 N8-865/, რითაც ითხოვს ბინის დარჩენილ ¼ ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ნინო გაბაგაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინის დარჩენილ ¼ ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნინო გაბაგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ლეჟავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინის დარჩენილ ¼ ნაწილზე /საერთო ფართობი 65,96 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,63 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,33 კვ.მ./ მოქალაქე ნინო გაბაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე